პროექტი

# საქართველოს ორგანული კანონი

## საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" დამატებების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N25, 22.08.2001, მუხ. 107) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-3 მუხლის:

ა) ქ$^1$ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ) მ$^2$ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ$^2$) არჩევნების დღე – საერთო ან ხელახალი არჩევნების ჩატარების დღე;"

2. ამოღებულ იქნეს მე-9$^1$ მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტები.

3. მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის იქმნება 14 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი:

| ოლქის № | ადმინისტრაციული ერთეულები, რომელსაც მოიცავს საარჩევნო ოლქი | მანდატების რაოდენობა |
|---|---|---|
| 1. | ქალაქი თბილისი | 5 |
| 2. | აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა – ქალაქი სოხუმი, გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, ტყვარჩელის რაიონები | 6 |
| 3. | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - ქალაქი ბათუმი, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს რაიონები | 5 |
| 4. | ცხინვალის, ჯავის რაიონები, ლიახვის ხეობა | 3 |
| 5. | ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის რაიონები | 2 |
| 6. | ქალაქი ქუთაისი, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, | 5 |

| | | |
|---|---|---|
| | საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის რაიონები | |
| 7. | ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის რაიონები | 4 |
| 8. | ახალგორის, დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის რაიონები | 2 |
| 9. | ქალაქი ფოთი, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის რაიონები | 4 |
| 10. | ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონები | 4 |
| 11. | ქალაქი რუსთავი, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის რაიონები | 4 |
| 12. | გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის რაიონები | 2 |
| 13. | ლენტეხის და მესტიის რაიონები | 2 |
| 14. | ამბროლაურის, ონის, ცაგერის რაიონები | 2 |

**4. მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. ახალშექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი შეკრება იმართება საერთო არჩევნების დღემდე არა უადრეს მე-40 და არა უგვიანეს 35-ე დღისა. გამონაკლის შემთხვევაში და სხვა სახელმწიფოში შექმნილ საარჩევნო უბანში საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი შეკრება იმართება კომისიის შექმნიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა. საუბნო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომას იწვევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. გამონაკლისია სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისია, რომლის პირველ სხდომასაც იწვევს ცესკოს თავმჯდომარე.“.

**5. 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მ) განკარგულებით ნიშნავს რიგგარეშე, ხელახალ არჩევნებს, განმეორებით კენჭისყრას, არჩევნების მეორე ტურს;“

**6. 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ლ) უზრუნველყოფს რიგგარეშე, ხელახალი არჩევნების ჩატარებას, განმეორებითი კენჭისყრისა და არჩევნების მეორე ტურის გამართვას;“

**7. ამოღებულ იქნეს 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტი.**

**8. 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „მ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"ვ) ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის რეგისტრაციაში ატარებს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს, მის წარმომადგენელს საოლქო საარჩევნო კომისიაში და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;

ზ) რეგისტრაციაში ატარებს პარტიის/საარჩევნო ბლოკის და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის წარდგენილ კანდიდატებს და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს.

**9. 46-ე მუხლის $3^1$ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

'$3^1$. საერთო ან ხელახალი არჩევნების დროს რეგისტრირებულმა პარტიებმა/საარჩევნო ბლოკებმა პარლამენტის წევრობის კანდიდატების წარდგენის შემთხვევაში ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნებში მონაწილეობისას საარჩევნო კამპანიის ფონდი უნდა გახსნან კენჭისყრამდე არა უგვიანეს 45 დღისა.~.

**10. 71-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"2. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს (მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას) უფლება აქვს ყველა საარჩევნო კომისიაში დანიშნოს ორ-ორი წარმომადგენელი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას - ერთ ან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში კანდიდატის წარმდგენ საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს ორ-ორი წარმომადგენელი დანიშნოს შესაბამის საოლქო და მის ქვემდებარე საუბნო საარჩევნო კომისიებში.

**11. 73-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

'4. არჩევნების მეორე ტურის, განმეორებითი კენჭისყრის ან ხელახალი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) განახლდება მისი დანიშვნის დღიდან.~.

**12. 91-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"2. საქართველოს პარლამენტის 100 წევრი აირჩევა პარტიული სიებით,პროპორციული, ხოლო 50 წევრი _ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

**13. 95-ე მუხლის 23-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

'23. ამ მუხლის შესაბამისად რეგისტრირებულ პარტიას/საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს თავისი განცხადების საფუძველზე მონაწილეობა მიიღოს ყველა დონის არჩევნებში, რომლებიც გაიმართება მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე. საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიას უფლება აქვს დამოუკიდებლად ან სხვა საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მონაწილეობდეს ყველა დონის არჩევნებში, რომლებიც გაიმართება მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე.~.

**14. $95^1$-ე მუხლი ამოღებული იქნას**

**15. $95^2$-ე მუხლიდან ამოღებული იქნას მე-3 პუნქტი**

**16. 96-ე მუხლის:**

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. წარდგენილ სიაში პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 200-ს.

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

`4. პარტიულ სიაში შეყვანილი კანდიდატის მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენის შემთხვევაში პარტიულ სიაში მიეთითება, რომ კანდიდატი წარდგენილია მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში.

გ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

``9. პარტიული სია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა წარედგინოს პარტიის/საარჩევნო ბლოკის საარჩევნო რეგისტრაციის შემდეგ, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 31-ე დღისა და მას თან უნდა ერთვოდეს პარლამენტის წევრობის თითოეული კანდიდატის მიერ შევსებული და ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი და მისი ფოტოსურათი. თუ კანდიდატი იმავდროულად მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქშიც არის წარდგენილი, სააღრიცხვო ბარათი და ფოტოსურათი 2 ცალად უნდა იქნეს წარდგენილი; ამ საბუთების თითო ეგზემპლარი მათი მიღებიდან 2 დღის ვადაში უნდა გადაეცეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.``

დ) მე-11 პუნქტის `ი` ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

``ი) თუ კანდიდატი წარდგენილია მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქშიც, უნდა აღინიშნოს ამ ოლქის დასახელება და ნომერი``.

დ) მე-12 პუნქტის ` `ნ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

`ნ) მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქის დასახელება და ნომერი, რომელშიც წარდგენილია კანდიდატად (თუ წარდგენილია)

ე) მე-12 პუნქტის `პ` ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

`პ` თანხმობა, კენჭი იყაროს მოცემულ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში.``

**17. 97-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**``მუხლი 97. კანდიდატთა წარდგენა მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში**

1. მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პარლამენტის წევრობის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვთ:

ა) არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას;

ბ) საარჩევნო ბლოკს.

2. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს ყოველ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული წესით არჩევის მიზნით წარადგინოს თავის პარტიულ სიაში შეყვანილ პირთაგან პარლამენტის წევრობის კანდიდატები, რომელთა რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ამ კოდექსით შესაბამისი საარჩევნო ოლქისათვის განსაზღვრული მანდატების ორმაგ ოდენობას.

3. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენა ხდება ამ კანონის 96-ე მუხლის მე-9-მე-13 პუნქტებით განსაზღვრული წესით.

4. პარტიისა და საარჩევნო ბლოკის მიერ მაჟორიტარული წესით ასარჩევად წარდგენილი კანდიდატების შეყვანა ხდება ძირითად და სარეზერვო მაჟორიტარულ სიებში.

5. ძირითადი და სარეზერვო მაჟორიტარული სიის ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი საარჩევნო ოლქის მანდატების რაოდენობით.

6. არჩევნებისას საარჩევნო ბიულეტენში ერთი რიგითი ნომრის გასწვრივ უნდა მიეთითოს ძირითად მაჟორიტარულ საარჩევნო სიაში შეყვანილი ყველა კანდიდატთა სახელი და

გვარი და პარტიისა და საარჩევნო ბლოკის სახელწოდება, რომლის მიერაც იქ წარდგენილი აღნიშნული მაჟორიტარული საარჩევნო სია.

7. სარეზერვო მაჟორიტარული სია წარედგინება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისი და იგი გამოიყენება გამოკლებული პარლამენტის წევრის ადგილმონაცვლის განსაზღვრ მიზნით.

18. 98-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 98. პარტიული სიებისა და მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში წარდგენილ პარლამენტის წევრობის კანდიდატთა საბუთების შემოწმება და საარჩევნო რეგისტრაცია**

1. პარტიული სია და პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი პარლამენტ წევრობის კანდიდატი საარჩევნო რეგისტრაციაში გატარდება ცესკოს თავმჯდომარ განკარგულებით, თუ ამ კანონით დადგენილი ყველა საბუთი შეესაბამება ამ კანონ მოთხოვნებს. რომელიმე საბუთის წარდგენისთვის ამ კანონით დადგენილი ვად დარღვევის შემთხვევაში საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი არ განიხილება.

2. პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ პარტიულ სიას ამოწმებს ცესკ სათანადო სამსახური და სიის წარდგენიდან 10 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიან არჩევნების დღემდე 26-ე დღისა, დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს, რომელ 3 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს არჩევნების დღემდე 25-ე დღისა:

ა) საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიულ სიასა და პარტიის/საარჩევნ ბლოკის მიერ წარდგენილ კანდიდატებს, თუ წარდგენილი პარტიული სია თანდართული საბუთები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) წერილობით აცნობებს პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს ამ კანონი დადგენილ მოთხოვნებთან პარტიულ სიასა და თანდართულ საბუთებში არსებუ მონაცემების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით), თუ არსებობს ასე შეუსაბამობა, და პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს 3 დღე ეძლევა პარტიუ სიისა და სხვა საბუთების სრულყოფისთვის.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში აღნიშნული შესწორებული მონაცემე უნდა შემოწმდეს და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი უნდა გადაწყდეს მა წარდგენიდან 5 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-20 დღისა. შესწორებული მონაცემები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკ თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიულ სიას ან მის იმ ნაწილ რომელიც შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს (თუ ამ ნაწილში კანდიდატ რაოდენობა დადგენილ მინიმუმზე ნაკლები არ არის), და მრავალმანდატიან საარჩევ ოლქებში წარდგენილ შესაბამის კანდიდატებს, ხოლო დანარჩენი კანდიდატების თაობა იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმ შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზე და ამ კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმ თუ პარტიული სიის იმ ნაწილში, რომელიც შეესაბამება ამ კანონით დადგენ მოთხოვნებს, დადგენილ მინიმუმზე ნაკლები კანდიდატი დარჩა, არც პარტიული სია არც პარტიის/საარეენო ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატები რეგისტრაციაში გატარდება და ცესკოს თავმჯდომარე ზემოაღნიშნულ ვადაში გამოსცემს განკარგულე პარტიული სიის საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებ ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და ამ კანონის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ამ პუნქ აღნიშნული განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მოთხოვნისთანავე უნდა გადაეცეს.

"ვ) ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის რეგისტრაციაში ატარებს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს, მის წარმომადგენელს საოლქო საარჩევნო კომისიაში და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;
ზ) რეგისტრაციაში ატარებს პარტიის/საარჩევნო ბლოკის და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის წარდგენილ კანდიდატებს და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს.

**9. 46-ე მუხლის $3^1$ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"$3^1$. საერთო ან ხელახალი არჩევნების დროს რეგისტრირებულმა პარტიებმა/საარჩევნო ბლოკებმა პარლამენტის წევრობის კანდიდატების წარდგენის შემთხვევაში ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნებში მონაწილეობისას საარჩევნო კამპანიის ფონდი უნდა გახსნან კენჭისყრამდე არა უგვიანეს 45 დღისა.".

**10. 71-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"2. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს (მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას) უფლება აქვს ყველა საარჩევნო კომისიაში დანიშნოს ორ-ორი წარმომადგენელი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას - ერთ ან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში კანდიდატის წარმდგენ საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს ორ-ორი წარმომადგენელი დანიშნოს შესაბამის საოლქო და მის ქვემდებარე საუბნო საარჩევნო კომისიებში.

**11. 73-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"4. არჩევნების მეორე ტურის, განმეორებითი კენჭისყრის ან ხელახალი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) განახლდება მისი დანიშვნის დღიდან.".

**12. 91-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

""2. საქართველოს პარლამენტის 100 წევრი აირჩევა პარტიული სიებით,პროპორციული, ხოლო 50 წევრი _ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

**13. 95-ე მუხლის 23-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"23. ამ მუხლის შესაბამისად რეგისტრირებულ პარტიას/საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს თავისი განცხადების საფუძველზე მონაწილეობა მიიღოს ყველა დონის არჩევნებში, რომლებიც გაიმართება მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე. საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიას უფლება აქვს დამოუკიდებლად ან სხვა საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მონაწილეობდეს ყველა დონის არჩევნებში, რომლებიც გაიმართება მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე.".

**14. $95^1$-ე მუხლი ამოღებული იქნას**

**15. $95^2$-ე მუხლიდან ამოღებული იქნას მე-3 პუნქტი**

"ე) ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის რეგისტრაციაში ატარებს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს, მის წარმომადგენელს საოლქო საარჩევნო კომისიაში და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;
ზ) რეგისტრაციაში ატარებს პარტიის/საარჩევნო ბლოკის და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის წარდგენილ კანდიდატებს და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს.

**9. 46-ე მუხლის $3^1$ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

'$3^1$. საერთო ან ხელახალი არჩევნების დროს რეგისტრირებულმა პარტიებმა/საარჩევნო ბლოკებმა პარლამენტის წევრობის კანდიდატების წარდგენის შემთხვევაში ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნებში მონაწილეობისას საარჩევნო კამპანიის ფონდი უნდა გახსნან კენჭისყრამდე არა უგვიანეს 45 დღისა.".

**10. 71-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"2. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს (მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას) უფლება აქვს ყველა საარჩევნო კომისიაში დანიშნოს ორ-ორი წარმომადგენელი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას - ერთ ან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში კანდიდატის წარმდგენ საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს ორ-ორი წარმომადგენელი დანიშნოს შესაბამის საოლქო და მის ქვემდებარე საუბნო საარჩევნო კომისიებში.

**11. 73-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

'4. არჩევნების მეორე ტურის, განმეორებითი კენჭისყრის ან ხელახალი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) განახლდება მისი დანიშვნის დღიდან.".

**12. 91-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

""2. საქართველოს პარლამენტის 100 წევრი აირჩევა პარტიული სიებით,პროპორციული, ხოლო 50 წევრი _ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

**13. 95-ე მუხლის 23-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

'23. ამ მუხლის შესაბამისად რეგისტრირებულ პარტიას/საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს თავისი განცხადების საფუძველზე მონაწილეობა მიიღოს ყველა დონის არჩევნებში, რომლებიც გაიმართება მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე. საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიას უფლება აქვს დამოუკიდებლად ან სხვა საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მონაწილეობდეს ყველა დონის არჩევნებში, რომლებიც გაიმართება მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე.".

**14. $95^1$-ე მუხლი ამოღებული იქნას**

**15. $95^2$-ე მუხლიდან ამოღებული იქნას მე-3 პუნქტი**

4. პარლამენტის წევრობის კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, ხოლო რეგისტრირებული კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით, ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ საარჩევნო კომისიისთვის წარდგენილი განცხადებები და საბუთები არ აკმაყოფილებენ ამ კანონით დადგენილ ყველა მოთხოვნას ან დარღვეულია ამ კანონით დადგენილი სხვა პირობები, კერძოდ:

ა) თუ არასრული ან არასწორია განცხადებებსა და საბუთებში აღნიშნული მონაცემები;

ბ) თუ პარტიულ სიაში შეყვანილი კანდიდატი არჩევნების მონაწილე სხვა პარტიის წევრია;

გ) თუ კანდიდატი შეყვანილია ერთზე მეტ პარტიულ სიაში და ერთდროულად არსებობს ან არსებობდა ერთზე მეტ სიაში შეყვანაზე მისი თანხმობა;

დ) თუ პარტიულ სიაში შეყვანილი კანდიდატი მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილია სხვა პარტიის, ან საარჩევნო ბლოკის მიერ;

ე) თუ საქართველოს პარლამენტის არჩევნების პერიოდში იმართება სხვა არჩევნები და ერთდროულად არსებობს ან არსებობდა პარლამენტის წევრობის კანდიდატის თანხმობა ამ არჩევნებში კანდიდატის სტატუსით მონაწილეობაზე;

ე) თუ დარღვეულია ამ კანონის 73-ე მუხლის მე-9 პუნქტით ან/და 76-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები.``

19. 99–ე მუხლის:

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

``5. მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ კანდიდატებს ენიჭება იგივე რიგითი ნომერი, რაც მის წარმდგენ პარტიას, საარჩევნო ბლოკს აქვს მინიჭებული.``

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

``7. რეგისტრირებულ პარტიულ სიებს პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილ კანდიდატთა იმ მონაცემებს, რომლებიც შეიტანება საარჩევნო ბიულეტენში – აქვეყნებენ საოლქო საარჩევნო კომისიები კენჭისყრამდე არა უგვიანეს 12 დღისა.``.

20. 103–ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი დგება პარტიული სიების მიხედვით, ხოლო მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების ოქმი – მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატების მიხედვით.“

21. 105–ე მუხლის

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ მათში მონაწილეობდა შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 1/3 მაინც.

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლებიან ერთი საარჩევნო სუბიექტის ყველა კანდიდატი საარჩევნო ოლქის მანდატების შესაბამისად, რომელთა სიამ მიიღო სხვებზე მეტი ხმა, მაგრამ არანაკლებ არჩევნებში მონაწილეთა 1/3-ისა.

გ) მე-7 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად ამ სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს 100-ზე და გაიყოს ასეთი პარტიების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას.

8. თუ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 100-ზე ნაკლები აღმოჩნდა, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი მიეკუთვნება იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც არჩევნებში ხმების მეტი რაოდენობა მიიღო.“

დ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

10. თუ კანდიდატი არჩეულია როგორც მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ისე პარტიული სიით, მაშინ იგი არჩეულად ითვლება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ამოიღება პარტიული სიიდან და სიის დასაწყისისაკენ გადაინაცვლებენ მისი მომდევნო კანდიდატები.“

22. 106-ე მუხლის:

ა) სათაური და 1-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 106. არჩევნების მეორე ტური. ხელახალი არჩევნები.
საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის
ადგილმონაცვლეობის წესი

1. თუ არჩევნების პირველ ტურში საქართველოს პარლამენტის წევრები ვერ აირჩა, ცესკო პირველი ტურის შედეგების დამტკიცებასთან ერთად ნიშნავს არჩევნების მეორე ტურს, რომელიც იმართება პირველი ტურიდან არა უგვიანეს მე-14 დღისა. მეორე ტურში მონაწილეობს იმ საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი ძირითადი მაჟორიტარული სიები, რომლებმაც პირველ ტურში სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. თუ 2-ზე მეტ მაჟორიტარულ სიას ერთნაირი საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა ან 1 საუკეთესო შედეგის მქონე მაჟორიტარული სიის მომდევნო რამდენიმე მაჟორიტარულმა სიამ ხმათა ტოლი რაოდენობა მიიღო, მეორე ტურში ყველა ზემოაღნიშნული მაჟორიტარული სია მონაწილეობს.

2. არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლებიან ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი კანდიდატები, რომელთა მაჟორიტარული სიაც მეტ ხმას მიიღებს. თუ მაჟორიტარულმა სიებმა ტოლი რაოდენობის ხმები მიიღეს, არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომელთა სიასაც პირველ ტურში მეტი ხმა ჰქონდა მიღებული. თუ ხმათა ეს რაოდენობებიც ტოლი აღმოჩნდა, იმართება ხელახალი არჩევნები.

3. თუ არჩევნები არჩატარებულად გამოცხადდა, აგრეთვე მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების ბათილად ცნობისას იმართება ხელახალი არჩევნები.“

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

'5. მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი ხელახალი არჩევნების თარიღს განკარგულებით ნიშნავს და საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს განკარგულებით ადგენს ცესკო არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 2 თვისა. მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი ხელახალი არჩევნები, რომელთა ჩატარების ვადები არ ემთხვევა პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი ხელახალი არჩევნების ვადებს.'

გ) ამოღებულ იქნეს მე-6 პუნქტი.

დ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

'9. მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქიდან არჩეული პარლამენტის წევრის გამოკლების შემთხვევაში მის ადგილს ერთი თვის ვადაში იკავებს შესაბამის სარეზერვო სიაში რიგით მომდევნო პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოქმნიდან 15

დღეში თანხმობა განაცხადა პარლამენტის წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში მისი მომდევნო კანდიდატი და ა.შ. თუ მაჟორიტარულ სიაში ასარჩევი კანდიდატი აღარ არის, პარლამენტის წევრის ეს მანდატი გაუქმებულად ჩაითვლება. ―.

ე) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

'11. პარტიული სიით არჩეული პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსი აღუდგება იმ პირს, რომელიც ამ მუხლის მე-7 ან მე-$7^1$ პუნქტების შესაბამისად მისი უფლებამონაცვლეა.―

**მუხლი 2**

ეს კანონი ამოქმედდეს ――――――.

საქართველოს პრეზიდენტი    მიხეილ სააკაშვილი